| |
|---|
| კავკასიის უნივერსიტეტი |
| კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლა |

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| | |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე | Master of Economics |
| | |
| უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| | |
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | უმაღლესი |
| | |
| სწავლების ენა | პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე<br>(ინდივიდუალური კურსები ინგლისურ ენაზე) |
| | |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | |
| ქართულად: | ეკონომიკის მაგისტრი |
| ინლისურად: | Master of Economics |
| პროგრამის ხელმძღვანელი<br>პროგრამის თანახელმძღვანელი | დოქტორი მაია გონაშვილი<br>დოქტორი აკაკი ცომაია |
| | |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით | |

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 EECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ– 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებით. შესაბამისად, პროგრამის ოპტიმალური ვადა შეადგენს 2 წელს, ხოლო დასაშვები ვადაა 4 წელი. პროგრამაში საგნების განაწილება ეფუძნება შინაარსობრივ თანამიმდევრობას და ლოგიკას, გამოყენებულია საგნებს შორის წინაპირობის დაცვის პრინციპი, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების სტუდენტისთვის მიღების საშუალებას. სასწავლო პროგრამაში საგნები დაყოფილია:
პროგრამაში სავალდებულო საგნების კრედიტების წილი შეადგენს 48 ECTS კრედიტს, არჩევითის 30 ECTS სტუდენტისთვის შეთავაზებული 60 ECTS მოცულობის საგნებიდან, პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი 12 ECTS და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის კომპონენტი 30 ECTS.

| | |
|---|---|
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდა საუნივერსიტეტო ტესტირება/გასაუბრების საფუძველზე. |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | მოცემული პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური თეორიული ეკონომიკური ცოდნა, კომპლექსური პრობლემების ორიგინალური გადაწყვეტის იდეების ძიების, ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, გამოუმუშავოს დინამიურ ეკონომიკურ გარემოში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები; გააანალიზოს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე; თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე შეიძინოს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე; შეძლოს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, განახორციელოს პრაქტიკული ხასიათის პროექტები; გამოიმუშაოს ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები; შეძლოს ეკონომიკური ხასიათის რთული და არასრული ინფორმაციის, მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების კრიტიკული ანალიზი და განზოგადებული დასკვნების ჩამოყალიბება; შეძლოს კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება |

| | |
|---|---|
| პროგრამის სწავლის შედეგი | ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:<br>ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებულები იძენენ ეკონომიკის შესახებ ღრმა, სისტემურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ მისცემს საშუალებას მოახდინონ: სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასება; გადაწყვეტილებების მიღება სხვადასხვა რესურსის ოპტიმალურ გამოყენებასთან დაკავშირებით; საერთაშორისო და განვითარებული (ევროკავშირის) საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების შეფასება, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა და ქართულ რეალობასთან მათი მისადაგება; საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთებულად წარმოდგენა ფაქტობრივი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და ობიექტური არგუმენტების მოტანით; თეორიული ვარაუდების შედარებითი ანალიზი და ამგვარი ანალიზის შედეგების მკაფიოდ ჩამოყალიბება; ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების უნარი, ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება. გათვითცნობიერებული აქვს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე; მიკრო და მაკრო ეკონომიკის, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის, შრომის ეკონომიკის, მონეტარული და პოლიტიკური ეკონომიკის, რეგიონალური ინტეგრაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე პრინციპების, თანამედროვე ეკონომიკური თეორიებისა და მეთოდების სიღრმისეული ცოდნა; ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვეთა და მკაფიოდ ჩამოყალიბება; ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; ეკონომიკური პრობლემების შეფასების კრიტერიუმების შერჩევა; ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების ალტერნატივების განსაზღვრა და მათგან ოპტიმალურის შერჩევა; ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა.<br>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - კურსდამთავრებულს გააჩნია: ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების უნარი; კვლევისა და დასკვნების, შედეგების სწორი ინტერპრეტაციის უნარი; კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელების უნარი . ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება; თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენება; პრაქტიკული პრობლემების მულტიდისციპლინური მიდგომებით გადაჭრა; ახალი მიდგომების ფორმირება; ეკონომიკის სხვადასხვა დარგში კვლევების ჩატარება; უახლესი მიდგომების, მეთოდებისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით მონაცემთა გაანალიზება და დასკვნების გამოტანა; ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი. კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი |

| | |
|---|---|
| დასაქმების სფეროები | პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური კადრის მომზადებაზე, ეფუძნება შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ მოთხოვნებს და დარგში დადგენილ დარგობრივ სტანდარტებს. კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ შემდეგ სექტორებში:<br>საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები;<br>სახელმწიფო სექტორი:<br>· საქართველოს მთავრობა<br>· ეკონომიკისა და მდგრადი განვიტარების სამინისტრო;<br>· ფინანსთა სამინისტრო;<br>· სტატისიტიკის ეროვნული ბიურო;<br>· ეროვნული ბანკი<br>· ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br>კერძო სექტორი:<br>· საბანკო<br>· სადაზღვევო<br>· აუდიტორული ფირმები<br>· სადისტრიბუციო<br>· საცალო ვაჭრობის კომპანიები<br>· სარეკლამო კომპანიები<br>· კვლევითი კომპანიები<br>· საგანმანათლებლო დაწესებულებები |

| | |
|---|---|
| სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა | სამაგისტრო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.<br>განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:<br>• მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;<br>• ყოველკვირეულ შეფასებას;<br>• შუა სემესტრულ შეფასებას;<br>• საბოლოო გამოცდის შეფასებას.<br>სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, კაზუსი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია, კვლევითი პრაქტიკის პორტფოლიოს დაცვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.<br>შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:<br>(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%<br>(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.<br>(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.<br>(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.<br>(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.<br><br>თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.<br>მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| | |
| სწავლებისა და სწავლის მეთოდები | სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპრსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდი, ახსნა-განმარტების მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი (brainstorming), სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვ. სწავლება და სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში. |

## პროგრამის სასწავლო კურსები

| სასწავლო კურსის დასახელება | სასწავლო კურსის აღწერა | სავალდებულო/ არჩევითი | ECTS კრედიტი | სწავლების სემესტრი |
|---|---|---|---|---|
| მიკროეკონომიკა (გაძლიერებული კურსი) | სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა ცოდნა მიკროეკონომიკაში. კურსის ძირითადი თემებია: მოდელების ანალიზი, საბაზრო სუბიექტების ქცევის თავისებურებანი და საბაზრო სტუქტურების თავისებურებანი, ბაზრის ეფექტიანობის მახასიათებლები და სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის გავლენა ეფექტიანობაზე; მომხმარებლის არჩევანი და განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილების მიღების თავისებურებები; წარმოების ხარჯების მინიმიზების მექანიზმები | სავალდებულო | 6 | I |
| სოციალური სტიტისტიკა | კურსი -სოციალური სტატისტიკა ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსია, იგი ეხმარება სოციალური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენის, ანალიზის, განვითარების ტენდენციების, ძირითადი კანონზომიერების გამოვლენისა და საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდიკის შემეცნებასა და სოციალური მოვლენებისა და პროცესების კვლევისა და ანალიზის პროცესში სტატისტიკური მეთოდების დაუფლებაში. | სავალდებულო | 6 | I |
| მოდერნული და პოსტმოდერნული სოციალური თეორია | სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებს ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს მოდერნიზმის და პოსტმოდერნიზმის, როგორც აზროვნების განსაზღვრული წესის (დისკურსის) სპეციფიკა; შეასწავლოს ამ დისკურსის ძირითადი წარმომადგენლების ნააზრევი და ჩააბას ამ მიდგომების გარშემო არსებულ დებატებში. | არჩევითი | 6 | I |
| სოციალური კვლევის მეთოდები | სალექციო კურსი მიზნად ისახავს, მაგისტრატურის სტუდენტებმა შეიძინონ თეორიული ცოდნა ემპირიული კვლევის, კვლევისსტრატეგიის, მეთოდოლოგიის, მეთოდიკის, ტექნიკის, ემპრიული კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების შესახებ. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, დაეუფლონ სოციალური ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა მეთოდს. კურსი მოამზადებს სტუდენტებს დამოუკიდებელი სოციალური კვლევების ჩასატარებლად. | არჩევითი | 6 | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა ევროკავშირში | კურსის მიმოიხილავს დასაქმების პოლიტიკას ევროკავშირში. საწყის ეტაპზე განიხილება ამ სფეროში კოორდინაციის ევოლუციის ისტორია ევროგაერთიანებაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში მონაწილე აქტორებსა და ინსტიტუტებზე, პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტზე და სტრატეგიებზე, რომელსაც იყენებენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები შრომისუნარიანი მოქალაქეების ეკონომიკური რისკებისაგან დასაცავად და შრომის ბაზრების ეფექტური ფუნქციონირების მისაღწევად. ამავდროულად, კურსი ისტორიულ პერსპექტივაში მიმოიხილავს დასაქმების პოლიტიკის ევოლუციას კეთილდღეობის სხვადასხვა მოდელში და ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს თანამედროვე ევროპისთვის, როგორიც არის არაფორმალური და არასაიმედო დასაქმება, ევროკრიზისი და სამომავლო პერსპექტივა.<br>სასწავლო კურსის მიზანია:<br>• გააგებინოს სტუდენტებს როგორია ევროკავშირის დასაქმების პოლიტიკა და როგორ ვითარდებოდა ის წევრ სახელმწიფოებში ისტორიულ პერსპექტივაში<br>• მისცეს სტუდენტებს შესაძლებლობა ჩაერთონ აღნიშნულ თემაზე დებატებში<br>**გააცნობიერებინოს სტუდენტებს რა გამოწვევები და სირთულეები ახლავს ევროგაერთიანების მასშტაბით პოლიტიკის წარმოებას და როგორია პოლიტიკის კოორდინაციის სხვადასხვა მოდელი** | არჩევითი | 6 | I |
| დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა | მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში, არაფორმალურ სექტორში მთელ რიგ ეკონომიკურ აქტივობებს აქვს ადგილი, რომელიც სცილდება სამართლებრივ ჩარჩოს. დასაქმების პოლიტიკას, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე ვრცელდება ფორმალურ სექტორზე, შეუძლია ირიბი დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს არაფორმალურ სექტორზე. კურსში ძირითადი ყურადღება მახვილდება: არაფორმალური დასაქმების მეთოდებსა და თეორიებზე; თანამედროვე დასაქმების პოლიტიკისა და პოლიტიკური ექსპერიმენტების საკითხებზე.<br>კურსის მიზანია სტუდენტებისთვის ცოდნის მიცემა:<br>• არაფორმალური დასაქმების მეთოდებსა და თეორიებში<br>• არაფორმალური დასაქმების სოციალურ–სივრცით დაყოფაში<br>• დასაქმების პოლიტიკის ალტერნატივებში<br>• კლასიკური მოდელის ფუნქციონირებაში გადასახადების გარეშე<br>საბაზრო წონასწორობის რესურსული განაწილების მახასიათებლებში | არჩევითი | 6 | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მაკროეკონომიკა (გაძლიერებული კურსი) | კურსი შეასწავლის მაგისტრანტებს კვლევებისა და პროგნოზირების მეთოდების გამოყენებას ისეთ მაკროეკონომიკურ საკითხებზე, როგორიცაა ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების მართვა; სავალუტო და ფინასური ბაზრები, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა; ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა, მოლოდინების მართვა და სხვ. | სავალდებულო | 6 | II |
| ინდუსტრიული ურთიერთობების სისტემა ევროკავშირში | სტუდენტებმა შეისწავლონ ინდუსტრიული ურთიერთობები ზოგადად, ასევე ევროპის ქვეყნების ისტორიულ გამოცდილება და თანამედროვე პრაქტიკა. ევროპული ქვეყნები წარმოდგენილი იქნება თავისი ეკონომიკური, ისტორიული და სოციო-პოლიტიკური კონტექსტით. აღწერილი იქნება ძირითადი აქტორები - ორგანიზებული შრომა, დამსაქმებლები და ხელისუფლება; შესაბამისი კანონმდებლობა, პროცესი და მისი ელემენტები: მოლაპარაკებები, ვაჭრობა, კოლექტიური კონსულტაციები და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანამედროვე ტენდენციებს და პრობლემატიკას: ადამიანური რესურსების მართვას, შრომით მიგრაციას, შრომის ბაზრის მოქნილობისა და სტაბილურობის დილემას, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის გამოწვევებს, თითოეული ქვეყნის ინსტიტუციურ თავისებურებებს.სტუდენტებმა შეისწავლონ ევროკავშირის საერთო ეკონომიკური სივრცისა და ევროპული სოციალური მოდელის ტრანსფორმაციის პროცესების ურთიერთკავშირი. სტუდენტები გაეცნობიან შრომითი ურთიერთობების სპეციფიური მოდელების კონვერნეგციისა და დივერგენციის თეორიებს, პროფკავშირების ევროპული თანამშრომლობის ფორმებს, ევროკავშირის სტანდარტებს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობას. სპეციალური ყურადღება დაეთმობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას და იმ პროცესს, რომელიც ამ ქვეყნებმა გაიარეს ევროპული ინტეგაციის გზაზე. | არჩევითი | 6 | II |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინდუსტრიული ურთიერთობებ ი ს სისტემა შედარებითი ანალიზი | სტუდენტები გაეცნობიან ინდუსტრიული ურთიერთობების დისციპლინის მეთოდს და მეთოდოლოგიას, შეისწავლიან კვლევითი ნაშრომების ნიმუშებს, თანამედროვე პრობლემატიკას და ინფორმაციის წყაროებს, იქნება ეს სტატისტიკური ინფორმაცია, მონაცემთა ბაზები, დოკუმენტური წყაროები და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ წყაროებს, რომლებიც არსებობს საქართველოში და საქართველოს შესახებ. განხილული იქნება შრომითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია საბჭოთა წარსულიდან თანამედროვე რეალობამდე. სტუდენტები შეისწავლიან შრომითი ურთიერთობების, ეკონომიკის მოწყობის, ბიზნესის ინტერესების წარმომადგენლობის და პროფკავშირების ტრანსფორმაციას ბოლო 25 წლის განმავლობაში.იმისათვის, რომსტუდენტებმაუკეთშეძლონგარკვევასაქარ თველოსინდუსტრიულიურთიერთობებისთა ვისებურებებში, რამდენიმე სემინარი დაეთმობა იმ სოციალური რეალობის სიღრმისეულ შესწავლას, რომელიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მათ ფორმირებაზე. ესენია: უმუშევრობა, დეინდუსტრიალიზაცია, სამუშაო ძალის სტრუქტურული მახასიათებლები; შრომითი მიგრაცია, მისი სტრუქტურული მახასიათებლები და სოციალური შედეგები; დასაქმება და თვითდასაქმება - სოციალური სტრუქტურის რღვევა და გარდაქმნა; სოციალური კაპიტალი, პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური იდეოლოგიები და გავრცელებული პარადიგმები; სიღარიბე, უთანასწორობა, მათი ობიექტური და სუბიექტური მახასიათებლები; ჩრდილოვანი ეკონომიკა, არამდგრადი და დაუცველი სამუშაო ადგილები, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები ეკონომიკასა და დასაქმებაში. დაწვრილებით იქნება შესწავლილი შრომის კოდექსის ტრანსფორმაცია და სოციალური დიალოგის დამკვიდრების პრაქტიკა. საქართველოს ევროპული ინტეგრაცია და ევროკავშირთან ურთიერთობები განხილული იქნება იმ სტანდართებისა და ხელშეკრულებების შუქზე, რომლებიც მოიცავენ შრომით სტანდარტებს, სოციალურ დიალოგს, ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს. ევროპულ სტრუქტურებთან ერთად განხილული იქნება მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალიუტო ფონდის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების როლი საქართველოში მიმდინარე რეფორმებში და შესაბამისი დოკუმენტები. | არჩევითი | 6 | II |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსის მართვა | კურსი მიზნად ისახავს გააღრმავოს სტუდენტებს ცოდნა და შესაძლებლობები ორიგანიზაციული ქცევისა და ადამიანური რესურსების ეფექტურად დაგეგმვისა და მართვის საკითხებში. ერთის მხრივ ორგანიზაციული ქცევის თეორიების ცოდნა ჯანდაცვის მენეჯერებს ესაჭიროებათ ორგანიზაციებში ინდივიდუალური და ჯგუფური პრობლემების გადასაჭრელად. კურსი ორგანიზაციული ქცევის კუთხით მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორციაა: დავალების შესრულების ხარისხის მართვა, კრეატიულობა, ორგანიზაციული კულტურა, სტრესული სიტუაციის მართვა, მოლაპარაკების წარმოებების სტრუქტურა და სამუშაოს ორგანიზება.<br>კურსის მეორე ნაწილი მოიცავს ადამიანური რესურსების ფუნქციის როლს, სოციალურ და იურიდიულ გარემოს შესწავლას. ასევე ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიასა და მის დაგეგმარებას. სტუდენტი შეისწავლის ახალი კადრების შერჩევას, მათ ტრეინინგსა და განათლებას, მათ კომპენსირებასა და ქცევის დაგეგმვას. ასევე, მოიცავს თანამშრომლების ურთიერთობასა და ორგანიზაციულ პოლიტიკას. ეს კურსი აქცენტს აკეთებს იმ საკითხებზე, რომელსაც იყენებენ ბიზნეს პროფესიონალები. „employee life cycle" -ის გამოყენებით სტუდენტები შეისწავლიან ჯანდაცვის ინსიტიუციების მიმდინარე საკითხებს, ფილოსოფიურ-ისტორიული განვითარების ჭრილში, რომელიც გამოიყენება სამუშაო ადგილის ადამიანური რესურსების განვითარებისთვის. | არჩევითი | 6 | II |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კონკურენციის მიკროეკონომიკა | კურსი განიხილავს კონკურენტუნარიანობას და ეკონომიკურ განვითარებას მიკროეკონომიკურ ჭრილში. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება გამომდინარეობს მისი ეკონომიკური ერთეულების კონკურენტუნარიანობიდან რაც თავის მხრივ შრომის მწარმოებლურობის დონით განისაზღვრება. ეკონოკიმიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც განაპირობებს ამ პარამეტრების განვითარებას, წარმოადგენს ყველა ქვეყნის მთავარ ამოცანას და გამოწვევას რომლებიც პოლიტიკოსების წინაშე დგანან. წარმოდგენილ კურსში განიხილება კონკურენტუნარიანობის, როგორც ცალკეული ფირმის, ასევე ეკონომიკური რეგიონის განმსაზღვრელი პარამეტრები და მათი ურთიერთდამოკიდებულება. გლობალური ეკონომიკის პირობებში ფირმის და რეგიონის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიების ჩამოყალიბებისას კლასტერულ მიდგომას სულ უფრო და უფრო დიდ როლს უთმობენ. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ კლასტერების განვითარების კონცეფციების განხილვას, როგორც განვითარებული, ასევე ნაკლებად განვითარებული ეკონომიკური რეგიონების და ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით. კურსი გათვლილია მომავალი სახელმწიფო მოხელეებისთვის, ბიზნეს-ლიდერებისთვის და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისთვის. | სავალდებულო | 6 | II |
| საერთაშორისო ეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა) | სალექციო კურსი მოიცავს გარკვეული ტიპის მოვლენებს გლობალურ ეკონომიკურ ასპარეზზე, რომელთა ზემოქმედება ამა თუ იმ სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკაზე და პოლიტიკურ დებატებზე მნიშვნელოვანწილად იზრდება. კურსის ფარგლებში განიხილება სხვადასხვა ეკონომიკური მოდელები და სავაჭრო რეჟიმები ქვეყნებსა და ქვეყანათა დაჯგუფებებს შორის, რაც ამავდროულად შესაბამისი ბენეფიტების ეკონომიკური განვითარების ჭრილში გააზრების საშუალებას იძლევა. | სავალდებულო | 6 | III |
| ეკონომეტრიკა | სალექციო კურსში განხილულია შემდეგი საკითხები: ეკონომეტრიკის მიზნები, ფუნქციები, მოდელების ძირითადი ტიპები და სახეები, წრფივი წყვილური რეგრესიის მოდელი, მრავლობითი წრფივი რეგრესიის მოდელი, მულტიკოლინეარობის საკითხები, არაწრფივი რეგრესია და მისი გაწრფივების საკითხები, მოდელში ფიქტიური ცვლადების ჩართვის თავისებურებანი, ჰეტეროსკედასტურობისა და ავტოკორელაციის პრობლემატიკა, დინამიკური პროცესების მოდელირება. კურსის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენების პრაქტიკულ საკითხებს პროგრამული პაკეტების დახმარებით. | სავალდებულო | 6 | III |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მაკროეკონომიკური პროგნოზირება | კურსის გავლის შემდგომ, სტუდენტს ეცოდინება: მაკროეკონომიკური პროგნოზირების არსი და ადგილი საპროგნოზო მოდელებში; საპროგნოზო მოდელების აგების მეთოდოლოგიურ-კონცეპტუალური საფუძვლები; საპროგნოზო ექსტრაპოლაციის მეთოდოლოგია; დროითი მწკრივების არსი, დროითი მწკრივების მოდელირება; მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირება პროგრამული პაკეტების მეშვეობით; არსებული მონაცემების საფუძველზე პროგნოზების აგება, ეკონომიკური ინტერპრეტაცია და სიზუსტის შეფასება. | სავალდებულო | 6 | III |
| შრომისა და ორგანიზაციის სოციოლოგია | კურსის მიმოიხილავს შრომისა და ორგანიზაციის ძირითად სოციოლოგიურ თეორიებს, როგორიცაა: შრომის გაუცხოება, შრომის უნარებისაგან დაცლა, შრომის დანაწილება საზოგადოებაში. კურსი ასევე გულისხმობს ორგანიზაციისა და ბიუროკრატიის ცნებების ანალიზს. სემესტრის ბოლოს ყურადღება გამახვილდება სხვადასხვა სახის შრომაზე: ემოციური და საოჯახო შრომა, შრომა სერვის სექტორში, უმუშევრობა და შრომის ბაზრის სოციოლოგია, შრომის სპეციფიკა ინდუსტრიულ და პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ასევე განხილული იქნება გლობალიზაციის გავლენა შრომაზე. სასწავლო კურსის მიზანია:<br>• გააცნოს სტუდენტებს შრომისა და ორგანიზაციის სოციოლოგიის ძირითადი თეორიები და ასევე ემპირიული კვლევები ამ მიმართულებით<br>• ჩართოს სტუდენტები აღნიშნულ თემაზე აკადემიურ დებატში<br>• მისცეს სტუდენტებს უნარი კრიტიკულად გააანალიზონ სხვადასხვა ტიპის შრომასთან დაკავშირებული სირთულეები და გამოწვევები | არჩევითი | 6 | III |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგია | მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაანგარიშება ნებისმიერ ქვეყანაში ეფუძნება სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიის ძირითად დებულებებს, რომელთა სიღრმისეული გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) თეორიისა და პრაქტიკული დანერგვის მსოფლიო გამოცდილების შესწავლით. კურსის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტს შეისწავლოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის გაანგარიშების მეთოდოლოგია ეას-ის 2008 წლის ვერსიის საფუძველზე, პრაქტიკულად შეეხოს თითოეული მაჩვენებლის გაანგარიშების ნიუანსებს, პრობლემებსა და სიძნელეებს, რაც დაეხმარება მას ეკონომიკისა და მისი ცალკეული სექტორების ფუნქციონირების ყოველმხრივი სტატისტიკური ანალიზის უნარის ფორმირებაში და უზრუნველყოფს მისი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებას. | არჩევითი | 6 | III |
| სახელმწიფო ეკონომიკა (ფისკალური თეორია და პოლიტიკა) | კურსი მოიცავს სახელმწიფო ფინანსების ძირითად ასპექტებს, და სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის მიკროეკონომიკური და ემპერიული ანალიზის მეთოდებს. კურსი იწყება საბაზრო ეკონომიკის ეფექტურობის განხილვით და სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობის დასაბუთებით (public goods, externalities, information-based market failures, imperfect competition, and equity). კურსი ასევე მოიცავს საგადასახადო პოლიტიკის შესწავლას: საგადასახადო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, მათ ეფექტურობას და აგრეთვე გვერდით ეფექტებს, საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივი გადასახადების სახეებს | არჩევითი | 6 | III |
| პოლიტიკური ეკონომიკა და საზოგადოებრივი არჩევანი | კურსი მოიცავს გადანაწილების პროგრამების ძირითად ფორმებსა და თეორიულ ასპექტებს, იმ პოლიტიკურ მოტივებს, რომლებიც დამოკიდებულია ეკონომიკური სუბიექტების პრეფერენციებზე და მათი რეალიზაციის ინსტიტუციონალურ შესაძლებლობებზე. აგრეთვე მოიცავს როგორც საარჩევნო, ისე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე, ამ მიზნით ეკონომიკური სუბიექტების ორგანიზების ფორმებს და მოქმედების შესაძლებლობებს, რაზეც დამოკიდებულია ეკონომიკური პოლიტიკის ენდოგენიზაცია და მისი ძირითადი ინსტრუმენტების სისტემატიზაცია ლობისტური ჯგუფების ინტერესების მიხედვით | არჩევითი | 6 | III |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჯანდაცვის ეკონომიკა | სასწავლო კურსზე განიხილება მიწოდების და მოთხოვნის თეორია ჯანდაცვის სექტორში, ინფორმაციული ასიმეტრიის როლი, ჯანდაცვის და სადაზღვევო ბაზრის ორგანიზაცია. სტუდენტები შეისწავლიან, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სამრეწველო ორგანიზაციის ინსტრუმენტები ჯანდაცვის კონკრეტულ ბაზრებზე, კერძოდ, მიმწოდებლებს (საავადმყოფო, ამბულატორიულ პოლიკლინიკური დაწესებულება) შორის კონკურენციის დანერგვის შედეგები და ანალიზი, გამხილულ იქნება ხარჯების შეკავების და სამედიცინო მომსახურების ხარისხზე მისი გავლენის საკითხები. შედარებულ იქნება სამედიცინო დაწესებულებების ანაზღაურების სისტემები (პერსპექტიული და რეტროსპექტიული). განხილულ იქნება ჯანდაცვის რეგულირების საკითხები. ჯანდაცვის ბაზრის სპეციკიდან გამომდინარე ბაზრის ტიპები და სახეები, მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების არსებობა და სახელმწიფო რეგულირება. გაანალიზებულ იქნება დაწესებულებების მიერ ფასთა დისკრიმინაციის თავისებურებები. შედარებულ იქნება როგორც ფასის პირდაპირი ასევე არაპირდაპირი რეგულირების ფორმები. ნორმატიული თვალსაზრისით, გაანალიზებულ იქნება სხვადასხვა ქვეყნებში (როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი) ჯანდაცვის სისტემების ეფექტურობის საკითხები. | არჩევითი | 6 | IV |
| მონეტარული ეკონომიკა (ფულის მიწოდების თეორია და პოლიტიკა) | კურსი მოიცავს მონეტარული ეკონომიკის მრავალმხრივ ასპექტებს. მასში ინტეგრირებულია მონეტარული თეორიის ევოლუციის, სტილიზებული ფაქტების, ემპირიული ფორმულირების და ეკონომეტრიკული ანალიზის საკითხები; მონეტარული თეორიების ასხნისა და განმარტების მიზნით განიხილულია ეკონომიკის მონეტარული და ფინანსური ინსტიტუციონალური სტრუქტურები. კურსი დეტალურად განიხილავს მონეტარულიხელისუფლების როლს ფულის მიწოდებასა და საპროცენტო განაკვეთების ფორმირებაზე, მონეტარული პოლიტიკის ფორმულირების პროცესებს. ეხება მონეტარული ხელისუფლების დამოუკიდებლობის და მონეტარული პოლიტიკის სანდოობის საკითხებს. კურსის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ფულისა და მონეტარული პოლიტიკის მაკროეკონომიკურ კონტექსტში განხილვას, მონეტარული პოლიტიკის კავშირს ეკონომიკის რეალურ სექტორთან (გამოშვება და დასაქმება) და ინფლაციის მონეტარულ ასპექტებს. წარმოდგენილია ძირითადი მაკროეკონომიკური მოდელები და მათი მონეტარული მნიშვნელობა. | არჩევითი | 6 | IV |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომი | კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის სკოლის სამაგისტრო პროგრამების დასრულებისას მაგისტრანტი ქმნის სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომში მაგისტრანტმა უნდა წარმოაჩინოს სპეციალიზაციის სფეროში ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს ორიგინალურ და მანამდე გამოუქვეყნებელ სამეცნიერო ინფორმაციას. ნაშრომში მაგისტრანტმა უნდა შეძლოს პრობლემური საკითხის მეცნიერული მეთოდებით დამუშავება და შედეგების შინაარსობრივი, საგნობრივი და ენობრივი თვალსაზრისით დამაჯერებელი წარმოდგენა. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში სპეციალიზაციაში აკუმულირებული მთელი ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა. ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლაში მოქმედებს ნორმატიული დოკუმენტები სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, დაცვისა და მაგისტრის ხარისხის მინიჭების წესის შესახებ. | სავალდებულო | 18 | IV |
| პრაქტიკული კომპონენტი | პრაქტიკული კურსი სტუდენტებს აცნობს საკვანძო საკითხებს უშუალოდ დაწესებულების დონეზე. ისინი გადიან რა აქტიურ თემატურ პრაქტიკას, ეცნობიან ადმინისტრაციულ დოკუმენტაციის ფორმებს, ჩანაწერებს, ოპერაციული მენეჯმენტის საკითხებს, ასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს, აკეთებენ გაწეული სამუშაოს ანალიზს. | სავალდებულო | 12 | III - IV |